

24საათი

პოლიტიკა

ბიულეტენები ვიდეოკაბარის 24-საათიანი კონტროლით დაიბაძება

ბეჭდვის პროცესს გააკონტროლებენ როგორც კომისიის წევრები, ასევე უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები. მთელი პროცესი 24-საათიანი ვიდეოგადაღებით ჩაივლის.

A2

ეკონომიკა

პრაზიდიანი კვლავ ღიად ლობიონებს "ბაორს"

უკვე კარგა ხანია, საქართველოს განვითარების მხრიდან საკუთარი ოჯახის ბიზნესის ღიად ლობიონება საქართველოში განსაკუთრებულ სიახლედ აღარ აღიქმება.

A4

უსხოოთი

სირიაზე დარტყმა რეგიონისათვის, განსაკუთრებით, ცნობილად

სირიის ტერიტორიაზე ისრაელის ავიაციის დარტყმის განხორციელების გამო, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ექსტრემალური სხდომა მოინვეის.

A5

სამართალი

დაკავებული სამართლის შედეგად პასუხს ხელისუფლება აძებს

ქართულ სინამდვილეში არსებობს დაკავებულის ნაშენის კიდევ ერთი მექანიზმი, რაც, ფაქტობრივად, დაკანონებულია და რაზეც პოლიციის ოფიციალურ პასუხსაც ვერაფერ მოსთხოვს.

A7

"24 საათის" მიერ გუშინ ჩატარებულმა ტესტმა გაამართლა - თავად გაზეთის კორექტორმაც კი ვერ შენიშნა, რომ ის, რაც გაზეთის B1 გვერდზე წაიკითხა, ერთნაირ უკვე წაკითხული ჰქონდა.

სხვათა შორის - ჩვენს მიერ გუშინ გამოკითხულ მკითხველთა დიდ ნაწილს ეჭვიც არ შეპარავია, რომ მასალა, რომელიც მთავრობის მიერ ერთი და იგივე საკითხების "გადადევნებას", გუბერნატორებსა და მინისტრებს შორის არსებულ განხეთქილებას, სახელმწიფო მინისტრისა და ანტიკორუფციის დამირის პირებს, კონტროლის პალატის პოლიტიკურ თამაშებს ეძღვნებოდა, პრესომბოდემენტის გასული კვირის მიმოხილვა კი არა - გასული ზაფხულის დანაწილის დანერგული სტატია გახლდათ. საქართველოს მთავრობაში დრო "გაიყინა" - საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყველაფერი ძველებურად ცუდადა. ამის შესახებ საქართველოს მოსახლეობამ და, მათ შორის, "24 საათის" მკითხველმაც, მშვენივრად იცის. გუშინდელი სტატიით კი მათ უზარაოდ ყველაფერი ის შეეახებინათ, რაც "დაკანონებულია" და არჩევნების შემდგომ აუცილებლად ახალი ძალით იჩენს თავს.

დღეს კი ვაქვეყნებთ ომბუდსმენის იმ სტატიას, რომელიც რიგით გუშინ უნდა დაბეჭდილიყო.

ანიონი

თბილისი	27
ქუთაისი	32
ბათუმი	32
სოხუმი	29

უსხოოთი ვალუტის ოფიციალური კურსი ლარიდან აშშ-დოლარში	
აშშ დოლარი	2.1130
ევრო	2.4780
გირვანქა სტერლი	3.5383
რუბლი	0.0694

ამერიკელები იძულებულნი არიან, ფსონები გაზარდონ

მოთა უნიკალური

ზემოქმედების პრაქტიკულად ერთადერთი იარაღი, რომელსაც აშშ იყენებს საქართველოს არჩევნებზე ზეგავლენის მოსახდენად, ფსონების გაზარდა. ამერიკა აცხადებს, რომ საქართველო ბევრ რამეს დაკარგავს, თუ არჩევნებს ცუდად ჩაატარებს და ბევრ რამეს მოიგებს, თუ კარგად ჩაატარებს. არჩევნებზე ზემოქმედების სხვა ბერკეტი აშშ-ს, პრაქტიკულად, არ გააჩნია.

ფსონების ანევა არჩევნებამდე კარგა ხანით ადრე დაიწყო, როდესაც აშშ-დან ნამოვიდა მესიჯები, რომ არჩევნების გაყვალბება ცუდად იმოქმედებდა აშშ-საქართველოს ურთიერთობებზე; ამას მოჰყვა ბეიკერის ვიზიტი, რომელმაც, ფაქტობრივად, მონაწილეობა მიიღო ახალი საარჩევნო სისტემის მომზადებაში; შემდეგ - გადამწყვეტილება საერთაშორისო დამკვირვებლების სარეკორდო რაოდენობის გამოგზავნის შესახებ და მაკკეინ-

ის მინიშნება, რომ არჩევნების სა-მართლიანად ჩატარების შემთხვევაში, საქართველო გახდება ნატო-ს წევრი, ხოლო არასწორად ჩატარების შემთხვევაში, ამის შანსს დაკარგავს; იყო ზუჟინის განცხადებაც, რომ თუ საქართველომ დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნა, ამერიკას ბაქო-ჯეიჰანი არაფერში სჭირდება.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ამერიკელები იძულებულნი არიან, ფსონები უფრო გაზარ-

დონ, რადგან, რაც უკვე გააკეთეს, არასაკმარისია არჩევნების დემოკრატიულობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ საკმარისად ბევრია იმისათვის, რომ მათ ხელები ვერ დაიბანონ (ისევე, როგორც ნრთვინსა და ალტურის შემთხვევაში, ამერიკელები იძულებული არიან, პროგრამა გააგრძელონ, რათა მისი შეწყვეტა რუსებმა მწვანე შუქის ანთებად არ ჩათვალონ).

ბაზრძალაბა A3 ბაზრძალა

ამერიკელების სტუმრობა ოპოზიციას სულაც არ ჰგონია ხუმრობა

თუმცა, მიაჩნია, რომ მთავარ პრობლემებს მაინც თავად ქართველებმა უნდა მიხედონ

გიორგი ასანიძის

ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი, სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე სტროუბ ტელბოტი და აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ყოფილი უფროსი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი, სულ ორი დღეა, რაც საქართველოში იმყოფებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, წინასწარჩვენო პროცესის ნიუანსებშიც კი უკვე კარგად ერკვევიან და სრულად "აკონტროლებენ სიტუაციას". ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციის ლიდერები ამას ერთხმად ამტკიცებენ. "ისინი დეტალურად არიან ინფორმირებული საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და იცნობენ იმ პრობლემებს, რომლებიც წინასწარჩვენო პერიოდში წარმოიშვა", - ამერიკელ სტუმრებთან საუბრის შემდეგ აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე, საარჩევნო ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი ნინო ბურჯანაძე.



ამერიკელებს, მათ შორის ჯონ მაღხაზ შალიკაშვილსაც, ბევრი რამ არ ესმით.

ბაზრძალაბა A3 ბაზრძალა

ქვემო ქართლში ადგილობრივ კოორდინატორებს პრობლემები ექმნებათ

პარიკო თაყვაძე

"ჩვენ უცხოელებს ვესაუბრეთ იმ რეგიონებზე, სადაც "სამართლიან არჩევნებს" პრობლემები შეექმნა. ზოგიერთ რეგიონსა და რაიონში გაყვალბების აპრობირებული მექანიზმები არსებობს, რომელთა თაიდანაც იცნობა შეუძლებელი

იქნება, თუ პროცესში მთელი საზოგადოება არ ჩაერთო", - იორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" გუშინ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პროგრამების დირექტორს პატრიკ მარლოუს, ბრუკინგსის ინსტიტუტის პრეზიდენტს სტროუბ ტელბოტს,

წარმომადგენელთა პალატის ყოფილ წევრს ზემ გუდენსონს, ქართლ-კახეთის რეგიონის დირექტორს ბრუკ შირერს და აშშ-ს სამხედრო მეთაურთა გაერთიანებული შტაბის ყოფილ თავმჯდომარეს ჯონ მაღხაზ შალიკაშვილს შეხვდა. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის

ეგიდით ჩამოსულ დელეგაციის წევრებს ორგანიზაცია იმ ძირითად პრობლემებზე ესაუბრა, რომლებმაც შეიძლება "სამართლიან არჩევნებს" სრულფასოვან დაკვირვებასა და ხმების პარალელურ დათვლაში ხელი შეუშალოს.

ბაზრძალაბა A3 ბაზრძალა

ჩვენთვის მასამ ომის მოლოდინები

ლევან ღირსიაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის საპრეზიდენტო არჩევნები თავიდანვე ფარსად იყო გამოცხადებული და გამარჯვებულის ვინაობა ყველამ წინასწარ იცოდა, ოფიციალური შედეგები მაინც უნდა დაფიქსირდეს. მამ ასე, ჩვენთვის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის აბდულ-ქერიმ არსახანოვის განცხადებით, "კრემლის კაცმა" ახმად კადიროვმა ამომრჩეველთა ხმების 81 პროცენტით მიიღო. რაც შეეხება სხვა მეტნაკლებად შედეგიან კანდიდატებს, მონაცემები ასე გამოიყურება: აბდულ ბუგაევი - 6,2 პროცენტი. შამილ ბურაევი - 3,3 პროცენტი. ყველა კანდიდატის წინააღმდეგ კი, 2,8 პროცენტმა მისცა ხმა. სულ საარჩევნო ურნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 87 პროცენტი გამოცხადდა. აი, ასეთია ახმად კადიროვის ტრიუმფის სურათი. მისი ინაუგურაცია კი ათი დღის შემდეგ გროზნოს თეატრალურ-საკონცერტო დარბაზში გაიმართება.



ჩვენთვის საპრეზიდენტო არჩევნებს მღელვარებით პასუხობენ.

ბაზრძალაბა A5 ბაზრძალა

პრაზიდიანი აღებული გაზის შეცვლას არ აპირებს!

არადემოკრატიული კანონი ამოქმედდება

მაშინ, როცა აშშ-დან ქართული დემოკრატიის რევიზიის მიზნით საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია გვსტუმრობდა, საქართველოს ხელისუფლებამ მორიგი "წარმატებული ნაბიჯი" გადადგა დემოკრატიული ღირებულებების შეზღუდვის მიმართულებით.

თამარ ხორბალაძე

ის, რომ გუშინ ქართველ ყურნალისტებს სახელმწიფო კანცელარიის დერეფნებში ფოტო და ტელეგადაღების ამკრძალველი ნიშნები დაგვხვდა, თან - მაინც დამაინც ზემოთ მოხსენიებული ვიზიტის დღეს, იმის დამადასტურებლად გვეჩვენება, რომ ვერაფერი "ამერიკული ჩარევა" საქართველოს პრეზიდენტს ალბულის კურსიდან ვერ გადაახვევინებს.

ბაზრძალაბა A2 ბაზრძალა

გადაკეთოთ სწორი არჩევანი

სახელისუფლებო ბლოკის ლიდერების შემხატკბილებული განცხადებების თანახმად, ახალი საქართველოსთვის მებრძოლი ორ ნოემბერს ყველაზე დიდ და შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწევინ და პარლამენტში 70 დეპუტატის გაყვანას შეძლებენ. შედარებით ოპტიმისტები კი იმედოვნებენ, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის გუნდს არც 80-90 კანდიდატის გადებულიცა გაუჭირდება.

თამარ ასათიანი

ასე რომ, პარტიული ბოსების გათვლებით, პრეზიდენტის მხარე-დამჭერი გუნდი პარლამენტში უმრავლესობით მოდის. აქედან გამომდინარე, უდავოდ საინტერესოა ის არჩევანი, რომელიც ბლოკის პოლიტსაბჭომ გააკეთა, როდესაც ამ საარჩევნო სიას ადგენდა. ახლა არ ღირს იმის გახსენება, თუ როგორ მიმდინარეობდა პარტიული სიის დაკომპლექტების პროცესი და რა სინნით ინანილენ კვლავ. მით უფრო, რომ ეს ყველაფერი სხვადასხვადასხვა ვიციტო. ახლა უფრო ის არის საინტერესო, თუ საბოლოოდ, რა პროდუქტი დაიღო მაგიაზე და ვის სთავაზობს ხელისუფლებამ ჩვენს მოსახლეობას სასუთარ რჩეულთა ამღუსაში.

ბაზრძალაბა A2 ბაზრძალა

"აღორძინების" ფაქტობრივი და განდგომილები

ასლან აბაშიძე "დემოკრატიული აღორძინების" საარჩევნო სიის სათავეში რომ აღმოჩნდა, არავის გაჰკვირვებია. ასე იყო წინასწარმეტყველებული, ასეა ახლაც. საკარგოდ, ტრადიცია არც სხვაგვარად დაირღვევა: აჭარის ავტონომიის ლიდერი არც ბათუმშია მოიცილის ფეხს და სიაში თავის ადგილსაც დიდსულოვნად დაუთმობს სხვას.

ლელა მჭედლიძე

ფაქტია, რომ "აღორძინებამ" ერთ-ერთმა ბოლომ დააკომპლექტა პარტიული სიები. დღეს "აღორძინების" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პარტიული სიების წარმომადგენელ ისინი შიდა ვითარების "დამწმენდას" ელოდებიან, იმის გარკვევას უნებოდნენ, თუ ვინ უერთგულებდა საბოლოოდ "აღორძინების" პარტიას. ორ-სამ დღეში "აღორძინება" იმ მაფორტირ დეპუტატებს წარმოადგენს, ვინც "გამარჯვებისათვის უკანასკნელ წუთამდე" იბრძოლებს. მანამდე კი, "აღორძინების" თილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ბაკურიამ საზოგადოებას თავისი პარტიის პირველი ათეული წარუდგინა. ასლან აბაშიძის გარდა, აქ არიან ჯემალ

ბაზრძალაბა A3 ბაზრძალა

ექსპრეზიდენტის ვაჟს ორმაგი „ინენიტატი“ ისავს

პოლიციელთა დაუსჯელობის სამოქალაქო თვითშეგნება უნდა დაუპირისპირდეს

საქართველოში თუ ექსპრეზიდენტის ვაჟი გეგია და თანაც პოლიციელის სამხრეთის ატარებ, ნიშნავს, რომ ორმაგი "ინენიტატი" გიცავს და დაუსჯელობაც გარანტირებული გაქვს.

სოფიკო ჩხიძე

ჩვენში პოლიციელთა მხრიდან თვითშეგნების გამოვლენა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, თუმცა ამ თვითშეგნების მსხვერპლი იმისათვისაა, რომელიც ხოლმე საკუთარი უფლებების დაცვას. მაგრამ, იგივეთ გამოწვევას ასეთ შემთხვევებშიც ვხვდებით - მათ არამარტო საკუთარი ღირსება ამორავებთ, არამედ მომავალში მსგავსი ექსცესებისგან თანამოქალაქეთა დაცვის სურვილიც. არ შეეცდებით, თუ ამას მოქალაქეობრივ თვითშეგნებას ვუწოდებთ - ასე საჭიროსა და აუცილებელსა მოქალაქეობრივ საზოგადოების მშენებლობისათვის; მაგრამ, ისიც ფაქ-

ტია, რომ ერთეულებში გაღვივებული მოქალაქეობრივი თვითშეგნება საქართველოს რეალობაში "ხმად მლაღვებლისა" რჩება. ასეთი ბედი ეწია ხეჩია კინაძისა და გურამ ჯავახიშვილის საჩივარს. ისინი რამდენიმე ათეულმა პოლიციელებმა ჯერ ქუჩაში სცემთ, მერე კი პოლიციის განყოფილებაში. რაც მთავარია, მათ რაიმე დანაშაულის ჩადენასაც კი არ ედავებოდნენ. დაზარალებულთა თქმით, მობადად პოლიციელებს მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე გიორგი გამსახურდია ხელმძღვანელობდა.

ბაზრძალაბა A7 ბაზრძალა

ასატი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება

“კინოს სახლში” მერაბ კოკოჩავის ახალი ფილმის ჩვენება შედგა


ლია თორავა

აი, ახლანა დაამთავრა ტელეფილმი “ვარია ციციას თემაზე”, რომელიც ტელეკომპანია “იმედის” დაკვეთით გადაიღო.

- ბატონო მერაბ, 15-წლიანი პერიოდი, როდესაც არც ერთი მხატვრული ფილმი არ გადავიღეთ - ათ - საკმაოდ დიდი პაუზაა. რამ განაპირობა? ცხადია, იყო ობიექტური მიზეზები, იქნებ იყო სიბერეც?

- თავად განსაჯეთ. მაგალითად, “ცხელი ზაფხულის სამი დღე” საზოგადოებას ფაქტობრივად, არ აჩვენეს. მოგვხსენებთ, ფილმი ეხებოდა ძველ და ახალ თაობას, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს ანარქოზებს. საბოლოოდ, გათხრების ხელმძღვანელი (ვახი კაცხაძე) ყველაფერ ახლადმოიჩინოს ისეც მარაგს, რადგან სხვა გზა ჯერჯერობით არ ჩანს. ახალგაზრდა კოლეგა (ნიელი ჭანკვეტაძე) კი მას ეწინააღმდეგება და იბრძვის შემდგომი აღმოჩენებისთვის. ეს გმირი მაშინ ასოცირდებოდა იმ ახალგაზრდა თაობასთან, რომელიც 70-იან წლებში გამოჩნდა და შემდგომში ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი გახდა. ხელისუფლებამ მსგავსება იპოვა ფილმის გმირსა და სახელმწიფო ენის პრობლემასთან დაკავშირებული მოძრაობის წევრებს შორის, რომელთა ნაწილი ამ ფილმის გადაღებისას დაპატიმრებული იყო.

ფილმი გააჩნევს. შემდეგ კი ისე გაუშვეს, რომ მას ნაუმძღვარეს სპეციალურად გადაღებული დოკუმენტური ფილმი “არქეოლოგია გუმბაზში, დღეს, ხვალ”, რომელიც ნარმოვანთან - რა კარგია ქართული არქეოლოგია, და ბოლთეობი, შესაბამისად, ორივე ფილმის ერთად იყიდება, თუმცა, ჩემი ფილმი ეხებოდა არა არქეოლოგიას, არამედ პიროვნებებს. მოკლედ, სტალინური იდეოლოგია, რომელიც ინდივიდის თავისუფლებას კრძალავდა, ჯერ კიდევ მოქმედებდა. საბოლოოდ, ოღონდ ფილმი არ დაეჭრა, დავიანხმეთ შემთავაზებულ პირობას -



ფილმს ნაუმძღვარეს წარწერა, რომ ეს არის “კერძო შემთხვევა”. ფილმში “გზა მშენებლისა, ჯაკო” ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი - იყო ახალგაზრდა კაცი, რომელიც გზის გასაყარზე დგას, საზღვარზე, რომელიც იქნება მისი ერის შვილები არიან და აქეთაც, თვითონ კი ამ საზღვარს უტყობს ერთად იცავს. რაც ამ პრობლემას შეეხებოდა, ფილმში და ყველაფერი ამოიღეს. როდესაც ფილმი მოსკოვში ჩავიტანე (მოგვხსენებთ, ყველა ფილმი იქ უნდა მიღებოდა) და დარბაზში შევედი, მეგობრები მისამართი შეგება - იქ სულ

გენერლები და პოლკოვნიკები იხსენებდნენ შედეგის გასხვებაც აღარ მინდა... “ცხელი ზაფხულის სამი დღის” შემდეგ გადავიწყვიტე, დოკუმენტური ფილმზე შემუშავა და რაც იქ ვერ მივიდა მაყურებელამდე, დოკუმენტური მასალით წარმოვიჩინა. გადავიღე 5-სერიანი ფილმი “გზა”, სადაც შეეცადა მაქსიმალურად ობიექტურად წარმოგვჩინა საქართველოს ისტორია და... იძულებული ვიყავი ფილმი დამემთავრებინა 1783 წლით - გეორგიევსკის ტრაქტატით, ვინაიდან შემდეგ უკვე ტყუილები უნდა მელაპარაკა...

- ამჟამად არ გაქვთ სურვილი, გააგრძელოთ?
- გაგრძელებები გაქვდა - “რუსთავი 2”-ზე გადის მსგავსი სერიალი, გაქვდა კოკა ყანდიაშვილის “მე-20 საუკუნე”. ასე რომ, მატიკუმენტური მასალით წარმოვიჩინა. გადავიღე 5-სერიანი ფილმი “გზა”, სადაც შეეცადა მაქსიმალურად ობიექტურად წარმოგვჩინა საქართველოს ისტორია და... იძულებული ვიყავი ფილმი დამემთავრებინა 1783 წლით - გეორგიევსკის ტრაქტატით, ვინაიდან შემდეგ უკვე ტყუილები უნდა მელაპარაკა...

ყველაზე იმპრესიონისტული „შემოდგომის თბილისი“

ფესტივალი პიანისტ გიორგი ვაჩნაძეს მასპინძლობს

მადრი სარაზინა

ერთგვარი ფოლკლორული ტანსაცმის შემდეგ საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი “შემოდგომის თბილისი” კვლავ კლასიკურ ტრადიციებს უბრუნდება. პიანისტმა გიორგი ვაჩნაძემ თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან და დირიჟორ ვახტანგ კახიძესთან ერთად ფესტივალის ყველაზე იმპრესიონისტული საღამო შემოგვთავაზა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი პიანისტი და ბერუბეა ქართულ სცენაზე “შემოდგომის თბილისზე” დამკვიდრებული შესანიშნავი ტრადიციის ნაწილია. ყოველ ფესტივალზე უცხოელ მუსიკოსებთან ერთად ქართულ სცენას დროებით მაინც უბრუნდებიან დასავლეთში ცნობილი ჩვენი თანამემამულეებიც, რომელთა მოსმენის საშუალება ჩანაწერების სახითაც იმავითად გვეძლევა. გიორგი ვაჩნაძე, მართალია, თბილისის კონსერვატორიაში სწავლობდა, მაგრამ მისი კარიერა მაინც ამერიკაში დაიწყო. მისი დასავლური წარმატება ყოველი საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული პიანისტის ლექსი თორაძის სახელს უკავშირდება. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელს, უშუალო შემოქმედებითი მუშაობის გარეშე, განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ახალგაზრდა პიანისტების აღზრდაში. ნიუ იორკში, მენის მუსიკალურ კოლეჯში სწავლის შემდეგ ვაჩნაძეც სწორედ თორაძის სახელს უკავშირებს შემოქმედებით პროგრამას შეუერთდა ინდიანას უნივერსიტეტში. 1994

წელს, მაგისტრის ნოდების მიღების შემდეგ კი თორაძისავე სტუდიაში დარჩა და დღემდე აქტიურ როლს ასრულებს ცნობილი პიანისტის სტუდიის მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებში. “**ლექსი თორაძე უდიდესი პიანისტი და ადამიანი**”, - აღნიშნავს ვაჩნაძე, - **ამ პროგრამაზე ყველაფერი მასწავლა, მათ შორის, ყველაზე მთავარიც - სცენაზე გასვლის და შესრულების ხელოვნება**”.

გიორგი ვაჩნაძე ამჟამად აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა მსოფლიოს მასშტაბით. სოლი კონცერტებით და სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად იგი გამოდის ა.შ.შ-ში, ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, ფინეთში, იტალიაში, ისრაელში თუ იაპონიაში. მონაწილეობს პოლიფუნდ ბოლდის, რაგინიას, სტრეზას (ვაჩნაძემ გახსნა 2000 წელს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად), როტერდამის, პეტერბურგის “თეთრი ღამეების”, მიკელის, გილმორის, ედინბურგის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში. ამ უკანასკნელში წარმატებული მონაწილეობისთვის ბრიტანულმა გაზეთმა “ჰერალდმა” მას სპეციალური პრიზი “ჰერალდის ანგელოზის ჯილდო” გადასცა. იგი “სტინდის” ფორმის არტისტიკა და ჩანაწერები გამოქვეყნებული აქვს “სონის” და “ექსელსორის” კლასიკური სერიით.

გუმინდელი საღამოს პროგრამა რაველისა და დებუსის ნაწარმოებებით იყო შედგენილი. ტექნიკური



და რიტმული თვალსაზრისით, ასევე - ინტერპრეტაციის მხრივ, რთული პროგრამა სოლისტმაც და ორკესტრმაც ღირსეულად წარმოიტანს. საორკესტრო ნომრებთან (დებუსის “ფაგონის დასრულება ნაშუალოდ” და მისივე სიმფონიური სურათი “ზღვა”) ერთად გიორგი ვაჩნაძემ საკუთარ რეპერტუარში უკვე დიდი ხნის დამკვიდრებული რაველის ორი კონცერტო შეასრულა, მათ შორის - ცნობილი კონცერტი მარცხენა ხელისთვის, რომელიც პიანისტ რვა წლის ნაწილ ჯანსუღ კახიძესთან ერთადაც აქვს ჩაწერილი. მაშინვე დიდ და ახალ ინტერპრეტაციებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა: **“სულ სხვაა ჩანაწერი და სულ სხვა კონცერტობა ორკესტრთან მისი ცრხლად შესრულება**, - აღნიშნავს ვაჩნაძე, - **ჩანაწერი ბევრი რამის შეცვლა, გასწორება შეიძლება, კონცერტზე კი ერთი შანსია და ერთხელ უნდა დაუკრა. ძალიან კმაყოფილი ვარ ორკესტრით, ძალიან მაღალი დონე აქვს და საოცარი ურთიერთთანხმება შედგა ჩვენს შორის**”.

“ვარჯიში პოეტურობაში” - ასე ავახსენს ვაჩნაძის დაკრება დასავლური პრესა. გუმინდელ კონცერტზე ვაჩნაძის “თბილისი დაკრები გამოწვეულ განსაკუთრებულ გრძობებს”, მართლაც, იმავით ტექნიკა და დამატებული ინტერპრეტაცია დემატა. კრიტიკოსებმა შეამოწმა ის ნისნვაც, რომელიც ახალგაზრდა პიანისტმა თბილისში ორი წლის წინანდელი სტუმრობის შემდეგ განიცადა: **“ორ წელიწადში**

ათი წლის გზა გაიარა”, - აღნიშნავს მუსიკისკრიტიკულმა ტორაძემ. ორკესტრსა და სოლისტს შორის განსაკუთრებულ ურთიერთგავებასა და პარტნიორობას ყველა აღნიშნავს: **“გიორგი ვაჩნაძე ცნობილი პიანისტი და ჩემი ქება მას არ სჭირდება**, - ამბობს ვახტანგ კახიძე, - **ამ საღამოს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მუზიკრება, როგორც პიანისტის, ისე ორკესტრის მხრიდან - ეს ძალიან კარგად აისახა შედეგზე**”.

და, რა თქმა უნდა, თბილისის სიმფონიურ ორკესტრსა და მისი დირიჟორის გამოსვლაც ჯეროვნად უნდა შეეფასდეს. მათ მიერ სოლისტთან ერთად თუ ცალკე შესრულებული საორკესტრო ნომრები რთული, მრავალფეროვანი ტემბრალური პალიტრით, შეკრულობითა და დახვეწილობით გამოირჩეოდა. ეს ბუნებრივია, წლებიანდელი ნელი ორკესტრისთვის საიუბილეოა (12 ოქტომბერს იგი იუბილეს აღნიშნავს) და ამ მოვლენისთვის განსაკუთრებით ემზადდებოდა.

გუმინდელი კონცერტით ფესტივალი დასკვნით ფაზაში შევიდა. დარჩენილი საოპერო (ზიზის “კარმენის” სცენები) და უკანასკნელი საიუბილეო სიმფონიური (ბეთოვენის მე-9 სიმფონია) კონცერტებით წლებიანდელი “შემოდგომის თბილისი” დაიხურება. მომდევნო კონცერტებს კი თბილისში გამართავს დასავლეთში მოღვაწე კიდევ ორი საინტერესო ფიგურა - ვია ონიანი და ნინო სურგულაძე და-სკალაძან “კარმენი” ესტუმრებიან სამშობლოს.

ყველაზე ART-ისტული ფაზრიკა

“ქარავან სარაის” ელექტრონული ფინალი

შაბათს ყოფილია აბრეშუმის ფაზრიკამ კიდევ ერთხელ იტირათა კულტურული ფუნქცია და ამჯერად ელექტრონული მუსიკის მოყვარულები შეიჯარა. მსგავსი “ტუსოველები” ტრადიციულ აუდიტორიას ამჯერად ეროპელი და ჩვენი მებოძელი ამიერკავკასიელი ხელოვანებიც დაემტკნენ. “ქარავან სარაის” ორგანიზატორთა და გულშემოყვარულთა გუნება-განწყობას დი-ჯეი ჟორჟიკი, დიმა დადიანი და ლევან ნუცუბიძე უზრუნველყოფდნენ. ლადო ბურდულაძის ორგანიზებული დისკოთეკა-საღამო თბილისში ვიზუალური ხელოვნების პირველი საერთაშორისო ფორუმის ერთ-ერთი ფინალური ღონისძიება იყო.

მერა ნაშარიძე

“წლების განმავლობაში ქართულ კულტურაში იქმნებოდა ვაკუუმი, რომელმაც მოლიანად მოხვედრა ის იმ რჩეულ რითმსა და კულტურულ ფასეულობებს, რომლითაც დღეს ცხოვრობს დასავლეთი. ისიც კი, რაც კომუნისტური დიქტატურის დროს ჩვეულებრივად მიიჩნეოდა, დღევანდელი ახალგაზრდობისთვის ზღაპრითი ქლერს. მოლიანად მოიშალა ურთიერთობების, კონტაქტების, ერთობის შემოქმედებითი პროექტების სტრუქტურა. საკუთარ ქვეყანაში ტყვეებად ქვეული ქართველი ახალგაზრდების მთელი თაობები იხოლი-

რებულ გარემოში იზრდებიან” - ლადო ბურდულაძის ეს სიტყვები მსგავსი კონცეპტუალური პროექტებისადმი არამარტო მუსიკოსის დამოკიდებულებას, არამედ მოლიანად “ქარავან სარაის” იდეასაც კარგად გამოხატავს. ხელოვანების გაცვლა და კულტურული თანამშრომლობა - ასეთი დირექტივები უკანასკნელი თვეების განმავლობაში სულ უფრო ხშირად მოისმის ევროსაბჭოს ექსპერტების მხრიდან. თუმცა, კარგა ხნით ადრე ჩვენთან ერთიანი კულტურული სფეროს შექმნას სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალების (“რევილი”, “მერცხლები გაზაფხულზე ბრუნდებიან...” ნყალობით ეყრებოდა დასაუძველი. ლადო ბურდულაძის სამუშაო მი-



მართულება, როგორც ჩანს, საზოგადოების უმრავლესობისთვის ახლა აღმოჩნდა აქტუალური. თუმცა, როგორც იცხადიან, - სჯობს გვიან...

როგორც იყო ვიზუალური ხელოვნების პირველი საერთაშორისო ფორუმი თბილისში - “ქარავან სარაის”, - ამაზე აღარ ვისაუბრებთ. ალბათ, ისევე აღარ ვისაუბრებთ, როგორც იცხადიან, მართლაც, გემოვნების მუსიკას ქმნიან), მხიარული განწყობა და თავისუფლება, - ამ საღამოების მუდმივ დამსწრეებს სწორედ ეს ხიბლავთ. ფორუმის კონცეფციიდან გამომდინარე კი, ალბათ, კარგი იქნებოდა, თუ მეზობელი ქვეყნების მუსიკოსებსაც მოინვესტირებთ. იმედი, ეს ხარვეზი სამომავლოდ გამოსწორდება. ისე კი, ფაზრიკაში გამართული დისკოთეკის მრავალი უცხოელი ესწრებოდა, თავად “ქარავან სარაის” ორგანიზატორები, მონაწილეები, მხარდაჭერის საცდელი ნაბიჯები თუ კულტურული ცენტრების წარმომადგენლები; ადგილობრივიდან კი, ვისაც ასეთი თავყრილობები ხიბლავს, საღამო, თითქმის, არავის გამოუტყობია.

ფეხბურთი

კუპერის მომავალი მორატის ხელში

“ინტერის” არგენტინელ მწვრთნელს სამსახურიდან დათხოვნა ემუქრება

ჰექტორ კუპერის სკამი აქამდეც საკმაოდ ირყეოდა, თუმცა, გუმბინინგელი დღის შემდეგ მისი მდგომარეობა ერთობადა გაუარესდა. კვირას მილანში საქალაქო დერბი გაიმართა. პირობითმა მასპინძელმა “ინტერმა” “მილანი” მიიღო და 1:3 დამარცხდა. ანგარიში კარგად ასახავს მატჩის მსვლელობას. ინძაგის, კაკას და შევერესის გოლების წყალობით “მილანმა” დამსახურებულად გაიმარჯვა. მატჩის შემდეგ კუპერი შეუმჩნეველად გაიპარა სტადიონიდან, “ინტერის” განმარტებულმა პრეზიდენტმა მასიმიო მორატიმ კი იმავე დღეს მოიხდია საგანგებო სხდომა.

იტალიური პრესა კუპერის შემცველებზე ალაპარაკდა. “ლაჯიოს” მწვრთნელი რობერტო მანჩინი და ალბერტო ძაკერონი “ინტერის” შესაძლო მწვრთნელებად განიხილეს. უკიდურეს შემთხვევაში, დროებით მწვრთნელად კუპერის ახლანდელ თანამშემსეს კორაბო ვერდელის დანიშნავენ, - იუწყება “La Gazzetta dello Sport”-ი.

კუპერი თავის მეკარეს, ფრანჩესკო ტოლდოს უნდა უშაბლოდეს, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან მატჩში “ინტერმა” უარესი სირცხვილი არ იხვებოდა. “La Gazzetta” ამ თემასაც შეეხო: “ტოლდომ “ინტერი” ჩაძირვას გადაარჩინა”. თუმცა, ტოლდოს თავგამოდება კუპერის სკამის გადასარჩენად, ალბათ, საკმარისი არ აღმოჩნდება. იტალიელი ჟურნალისტები დარწმუნებული არიან, რომ მორატის უკვე მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არგენტინელი მწვრთნელის გათავისუფლება. მასიმიო მორატიმ კუპერს არაერთხელ ნაუყვნა მკაცრი ულტიმატუმები. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის მოთხოვნები არ შეესრულა და, თუ მორატის მოთხოვნებს და



კუპერმა თვითონ არ იცის, რას უპირებენ

გუნდში ჩადებული მილიონიანი ინვესტიციებს გავითვალისწინებთ, არგენტინელი მწვრთნელის შედეგები სიმბოლურია. კუპერმა ვერც ჩემპიონთა ლიგაში და ვერც იტალიის ჩემპიონატში ვერ მიაღწია წარმატებას. “ინტერში” მუშაობის ორი წლის მანძილზე “იუვენტუსის”, “მილანის”, “ლაციოსა” და “რომას” წინააღმდეგ ჩატარებულ 17 მატჩში მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა.

ის, რომ მისი მომავალი ახლა მორატის ხელშია, თავად კუპერმაც კარგად იცის. “მე მესმის მორატის

თუმცა, პირლოს მიერ შესრულებულმა საჯარო დარტყმამ ყველაფერი შეცვალა. ეს უიღბლობა იყო. შევერესისას ტაქტიკა შეცვალა და ახალი ფეხბურთელი გამოიყვანა, თუმცა, მორე ტაიმის დასაწყისშივე კიდევ ერთი გოლი გაუშვეს. ამან ძალიან ცუდად იმოქმედა გუნდზე.”

კუპერის ასხნა-განმარტებები მორატის ნაკლებად აინტერესებს, პრეზიდენტს გამარჯვებები სურს. კუპერი კი სწორედ გამარჯვებას ვერ ახერხებს...

ინფორმაცია

ფეხბურთი. ანდრე შევერესი კომანდისადა, რომ პირებს, მიზამოს ალესანდრო დელ პიეროს (რომელმაც წინა კვირებში “იუვენტუსთან” ახალი კონტრაქტი გააფორმა) და “მილანთან” ახალი გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმოს. “თუ აღიარებოდა გალანის ისეთივე პირობებს შევმოთავაზებდეს, როგორც დელ პიეროს შესთავაზეს, დაუფიქრებლად დაეთანხმდები”, - ამბობს შევერესი, - “მილანი” ჩემთვის იტალიის ერთადერთი კლუბია, სადაც შემოიღია, ვითამაშო. თუ წასვლა მომიწევს, საფეხბურთო კარიერას, ალბათ, სხვა ვეროპულ ქვეყანაში გააგრძელებ, ან კვირში დავერბნები”.

ფეხბურთი. Tribalfutbol-ი იაკონურ მედიანზე დაყრდნობით აერცვლებს ინფორმაციას, რომ “მილანმა” “პარმას” შესთავაზა, ბრაზილიელი რივალდო ჰიდელბერტი ნაკატაში გაუცვალოს. ვარაუდობენ, რომ შეთანხმება იანვარში გაიჩარხება, როცა ვეროპაში სატრანსფერო დერეფანი გაიხსნება.

ფეხბურთი. ხვალ, ინგლისის ნაკრების თურქეთში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე, გაიმართება ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საინციპლინო კომიტეტის სხდომა, რომელზეც ლონდონის “არსენალის” მცველის სოლ კემპელის საქციელს განვიხილავთ. შეგახსენებთ, რომ 10 ავგუსტის, ინგლისის სუპერლიგის მატჩში, კემპელმა უფებლად თამაშა “მანჩესტერ იუნაიტედის”. მცველს ერთი ვეგმბა-ვეგმბას იმ შემთხვევაში, თუ გაირკვევა, რომ კემპელმა მეტოქეს განზრახ მიაციდა ტრავმა, “არსენალის” მცველს სამმეტრიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ფეხბურთი. ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევედ ბექჰემი დარწმუნებულია, რომ 11 ოქტომბერს სტამბულში თურქების წინააღმდეგ თამაშს შეუძლებს. ინგლისელი “ესპანოლის” წინააღმდეგ ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა, მაგრამ 87-ე წუთზე ფეხის ტკივილის გამო შეცვალეს. “ტრავმირებულ ფეხთან დაკავშირებით მცირე პრობლემა მაქვს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ აისახება ჩემს მზადყოფნაზე ნაკლებს სათამაშოდ, - განაცხადა ბექჰემმა, - მატჩის დასაწყისში ფეხის არემო ტკივილი ვიგრძენი. ტკივილს თამაშის ბოლომდე არ გაუშვია, მაგრამ ვიმეორებ: ტრავმა სერიოზული არ არის”.

ფეხბურთი. მაიკლ ოუენმა შეიძლება გამოტოვოს სტამბულის გამაღმყვეტი მატჩი თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ. “ამ დღით საინციპლინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ოუენს არა აქვს მუხლის პრობლემა, მაგრამ გაირკვა, რომ ფეხბურთელს მარჯვენა ბარძაყის ძვალზე მცირე ზზარი აქვს, - ამბობენ “ლივერპულის” ექიმები, - ყოველივე ზემოთხსენილი იმას ნიშნავს, რომ ოუენის შესანი, ითამაშოს სტამბულში, განიხილება როგორც 50/50-ზე.”

ფეხბურთი. “ჩელსის” მფლობელი რომან აბრამოვიჩი მზად არის, კიდევ გაიღოს თანხა და “იუვენტუსის” მეკარე ჯან ლუიჯი ბუფონი შეიძინოს. მას შემდეგ, რაც “ჩელსის” პირველმა მეკარემ კარლო კუდინჩინი სეზონი არცთუ დამაჯერებლად დაიწყო, აბრამოვიჩი მზად არის, ბუფონის სანაცვლოდ ტურინელებს 34 მილიონი გირვანჯა სტერლინგი გადაუხადოს.

ფეხბურთი. კვირას, დანის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის გასვლას, დანიელმა არბიტრმა კომ მილტონ ნილსენმა ტრავმა მიიღო და შეიძლება, გამოტოვოს თურქეთ-ინგლისის მატჩი. დანიელი მსაჯი, რომელიც მარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალს სჯდა, ფეხბურთის სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, იტალიელი პირელი კოლნასა და შვეიცარიელი ურს შაიერის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო არბიტრებს შორის მესამე ადგილზეა.

ქართველთა სიფრთხილვა საჭირო



გიორგი იარცივი: “საქართველოსთან მატჩი რთული იქნება”.

რუსეთის ნაკრები გამაღმებით ემზადება ქართველებთან გამაღმყვეტი შეხვედრისთვის. გუნდი ერთგვარმა ეიფორიამაც შეიპყრო, რაც შევიცარის დიდი ანგარიშით დამარცხებამ გამოიწვია. ეს ფაქტი ძალიან ალღევებს რუსთა მთავარ მწვრთნელს გიორგი იარცივს და ამ საკითხს სპეციალური პრესკონფერენციაც კი მიუძღვნა.

იარცივმა მოუწოდა მასმედიასა და ნაკრებთან დაახლოებულ პირებს, რომ ეიფორიას ნუ მიეცემიან, თორემ, შესაძლოა, ამან ფეხბურთელებზე დამარჯვებულად იმოქმედოს და სავალაოდ შედეგი გამოიწვიოს.

“ჩვენთვის აუცილებელია, დავივიწყოთ შევიცარისთან შთამბეჭდავი გამარჯვება, რადგან მიმდევრო მატჩი უფრო რთული იქნება”, - თქვა იარცივმა და დაამატა, რომ უაღრესად შენუსებულია ალენიჩევისა და რადიმიოვის ტრავმები. ამას გარდა, საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაში რუსებს შეიძლება ვერ დაეხმარონ რუსთა ლიდერები - მოსტოვი და სმერტნი. თუმცა, იარცივს ამ ფეხბურთელების იმედი მაინც აქვს. რუსეთის ნაკრების განკარგულებაში დღემდე არ არის მცველი ვიქტორ იონოპოკო.

მოკლედ

“ზორუსის” ტრამვირებულთა რიცხვი გაეზარდა

დორტმუნდის “ზორუსის” ლაზარეთი ივსება. შაბათს ფრანკფურტის “აინტრახტთან” შეხვედრაში ტრავმა მიიღო მცველმა აპმედ მადლუნგი. ექიმების დასკვნით, ის ექვს კვირას გამოტოვებს. ამრიგად, ტრავმირებულითა რიცხვმა 12 შეადგინა.

“ლივერპულის” მცველს ტყვია ესროლეს

ჯონ ოცემობორი, რომელმაც “ლივერპულის” შემადგენლობაში ერთი მატჩი ჩაატარა, ქალაქის ერთ-ერთ ბარში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. 20 წლის ფეხბურთელი თავის მეგობრებთან ერთად ისვენებდა, როცა ბოროტმოქმედი ბარში შეიჭრა და მცირეკალიბრის იარაღიდან ცეცხლი გახსნა. სროლის შედეგად სამი ადამიანი დაიჭრა. ბოროტმოქმედი ვერ დააკავეს.

TV-საორბი

სამშაბათი, 7 ოქტომბერი

Table with sports schedule: HTB + ФУТБОЛ, 19:50 სახვალეო ტელეპროგრამა, 19:55 პლაჟის ფრენბურთი, 20:00 ტური ესპანეთში, 21:20 ვარსკვლავური სამშაბათი, 21:20 ველოსპორტ-მოსე, 01:20 ახალი ამბები, 01:35 სპორტული ცეკვები, 02:55 ინგლისის ჩემპიონატი, 11:30 ექსტრემალური სპორტი, 12:00 ცხენოსნობა, 13:00 ნასკარის ავტობობლები, 17:30 სნუკერი, პრესტონის თასი დიდ ბრიტანეთში, 20:00 ჩოგბურთი, WTA ტურნირი გერმანიაში, 22:00 ფეხბურთი, უეფა 23:00 ველოსპორტი, მსოფლიო ჩემპიონატი, კანადა, 15:00 “რკინის ფაქტორი”, 16:30 მისკოვიტი გოლფი, ნიკ ვალდო რუსეთში, 15:15 ამერიკული ფეხბურთი, 23:50 ვეროფანკლები, “არსენალი”

Table with sports schedule: HTB + СПОРТ, 06:00 ამერიკული ფეხბურთი, 09:00 09:00-დან 11:00-მდე შესვენება, 11:00, 14:15, 17:00, 19:30 პრესენცები, 11:15, 19:45 “ოლიმპის შეიდეგი”, 11:20, 14:30 აერობიკა, 11:45 ფარიკაობა, მსოფლიო ჩემპიონატი, კუბა, ვაფები, ქალები, ფინანსები, პირდაპირი ტრანსლაცია, 15:00 “რკინის ფაქტორი”, 16:30 მისკოვიტი გოლფი, ნიკ ვალდო რუსეთში, 15:15 ამერიკული ფეხბურთი, 23:50 ვეროფანკლები, “არსენალი”

აბრამოვიჩი პენსიონერს ეზრძვის

ლონდონის “ჩელსის” ახალი მეპატრონე რომან აბრამოვიჩი კლუბის აქციათა 95 პროცენტს ფლობს, თუმცა, მას დარწმენილ აქციების ხელში ჩადგებაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. აბრამოვიჩმა 74 წლის ალექს მალკოლმს კარგი ადვოკატის შოვნა ურჩია. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ინგლისელი პენსიონერი “ჩელსის” 100 ცალ აქციას ფლობს. აბრამოვიჩს მალკოლმის კუთვნილი აქციების მოპოვება სურს. 100 ცალ აქციის სანაცვლოდ, რუსი ბიზნესმენი მალკოლმს 35 ფუნტს სთავაზობს. ეს თანხა ნამდვილად სასაცილოა, თუმცა, აბრამოვიჩი ინგლისის კანონმდებლობით მოქმედებს. აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელს უფლება აქვს, დანარჩენი აქციები იმ თანხად შეიძინოს, რომელსაც თავადვე დასახებულს. პოდა, აბრამოვიჩმა 35 ფუნტი დაასახელა.



აბრამოვიჩი პენსიონერს აქციებს ართმევს

“ჩელსის” სტადიონიდან ორიოდე მილის მოშორებით დაგობდა. “სტემფორდ ბრიჯზე” პირველად მაშინ მივედ, როდესაც აბრამოვიჩი გამწვინდევ არ იყო. 1936 წელს, როდესაც 7 წლის ვიკაგი, ბაბუაჩემმა “ჩელსის” თამაშზე წამიყვანა. სტადიონზე იმდენი ხალხი იყო, რომ ბაბუას მხრებზე ვიჯექი. მახსოვს მოსკოვის “დინამოს” ჩამოსვლაც ომის შემდეგ. იმ მატჩს 100 ათასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. მეც მათ შორის ვახლდით. ჩემი ორი შვილი და თიხი შევიღიშევი ასევე “ჩელსის” გულშემოტკივრები არიან. ეს კლუბი მალკოლმების სულში ზის. მეგობარს რომ ჩემს მიერ დახარჯული 120 ფუნტი “დინამოს” ჩამოსვლაც ომის შემდეგ. იმ მატჩს 100 ათასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. მეც მათ შორის ვახლდით. ჩემი ორი შვილი და თიხი შევიღიშევი ასევე “ჩელსის” გულშემოტკივრები არიან. ეს კლუბი მალკოლმების სულში ზის. მეგობარს რომ ჩემს მიერ დახარჯული 120 ფუნტი

ნტი “ჩელსის” ნაწილად მაქცევდა. ახლა კი უნდათ, რომ ყველაფერი ნაწილად. კომპრომისზე იმ შემთხვევაში წავალ, თუ კლუბი ორ საშუალო სეზონში აბონემენტს გამომიყოფს. ერთი ჩემთვის, ერთი ჩემი ვაჟისთვის. თუმცა, შესაძლოა, ასეთი ფასით აბრამოვიჩს მხოლოდ ერთ შემთხვევაში გავერბედე: თუ ის გარანტიას მომცემს, რომ მე სიცოცხლის ბოლომდე დავრჩები “ჩელსის” ნაწილად. კომპრომისზე იმ შემთხვევაში წავალ, თუ კლუბი ორ საშუალო სეზონში აბონემენტს გამომიყოფს. ერთი ჩემთვის, ერთი ჩემი ვაჟისთვის. თუმცა, შესაძლოა, ასეთი ფასით აბრამოვიჩს მხოლოდ ერთ შემთხვევაში გავერბედე: თუ ის გარანტიას მომცემს, რომ მე სიცოცხლის ბოლომდე დავრჩები “ჩელსის” ნაწილად.

ლომდე დავრჩები “ჩელსის” ნაწილად. კომპრომისზე იმ შემთხვევაში წავალ, თუ კლუბი ორ საშუალო სეზონში აბონემენტს გამომიყოფს. ერთი ჩემთვის, ერთი ჩემი ვაჟისთვის. თუმცა, შესაძლოა, ასეთი ფასით აბრამოვიჩს მხოლოდ ერთ შემთხვევაში გავერბედე: თუ ის გარანტიას მომცემს, რომ მე სიცოცხლის ბოლომდე დავრჩები “ჩელსის” ნაწილად.



გეგამობიშვებათი „ლაგუნა ვიჩი“



ფრანკფურტის ავტოსალონის სიახლეები



ფოლკსვაგენ გოლფ

ფრანკფურტში 11 სექტემბერს გაიხსნა და ორი კვირა გრძელდებოდა წლის მთავარი საავტომობილო მოვლენა - ფრანკფურტის მე-60 ავტოსალონი სახელწოდებით IAA, რომელზეც 42 ქვეყნის ათასზე მეტი კომპანია იყო წარმოდგენილი.

ავტოსალონს უზარმაზარი ტერიტორია - 245 ათასი კვადრატული მეტრი, მათ შორის, 30 ათასი ღია ცის ქვეშ, დაეთმო. შესაბამისად, დიდი იყო პრემიერების რიცხვიც - 125! როგორც ამბობენ, ამდენი პრემიერა შარშან პარიზის, ფენევისა და დეტროიტის ავტოსალონებზე ერთად აღებულ არ ყოფილა.

პრემიერებიდან ორმოცამდე ახალი ავტომობილი უკვე საწარმოოდა გამზადებული, თითქმის ორჯერ მეტი კი კონცეპტუალური მოდელი იყო. ბუნებრივია, ავტოსალონზე გამორჩეული ადგილი და მნიშვნელობა გერმანულ ავტოკომპანიაში ჰქონდათ დათმობილი - ჯერ ერთი, ისინი ამ ავტორანდევუს მასპინძლების რანგში წარდგნენ, მეორეც, ავტომოყვარულებისთვის მათ ბევრი სიახლე (73) ჰქონდათ მოწოდებული...

ფრანკფურტის ავტოსალონის (იგი ჩატარდა დევიზით "ავტომობილის ხიბლი") კარი 9 სექტემბერს ფურნალისტებისთვის და ავტორანდევუსტრიაში დაკავებული ხალხისთვის გაიღო, ორი დღის შემდეგ კი საგამოფენო პავილიონები და მთავარი შენობები დაიხსნა. ზოგი მონაცემით, ავტოსალონს მილიონამდე დამოთვლილი მკითხველი დაემთავრა. დამოთვლილი მკითხველი შორის ყოველმანის კანცლერი გერმანიის



რენო ასტრა

მეხუთე თაობის "გოლფს". ახალ "ასტრას" ესტრეტივის და ინტერიერის ახალი დიზაინი გააჩნია და თავისი კონკურენტებისგან აგრესიული გარეგნობითა და დამხმარე ელექტრონულ მოწყობილობათა სიმრავლით გამოიჩინა.

"ოპელმა" "ასტრას" გარდა მხახვალ ნარუდინა თავისი კონცეპტუალური კუპე სახელად "ინსიონა", რომლის პლატფორმად კონსტრუქტორებმა გამოიყენეს "ჯენერალ მოტორსის" ავსტრალიურ დივიზიონ "ჰოლდენის" მოდელი "შინარო".

რაც შეეხება "გოლფის" კონკურენტებს, მათ შორისაა "მაზდა 3", რომელიც მხახვალს ერთბაშად გაგრძობდა თითქმის არ შეუცვლელია. და მაინც, იგი რაღაცით დაემგვანა კონკურენტ "ჰელსს" მოდელს 307-ს. "გოლფის" ერთ-ერთი ძველი ნაკლი უკანა მგზავრებისთვის მცირე სივრცე ითვლებოდა, მაგრამ ამჯერად ამ ნაკლისგან აღარაფერი დარჩა.

ახალი "გოლფის" საბაზო კომპლექტაციით შევიდა უსაფრთხოების 6 ბალით, დამატებით ავტორანდევუსის სიაში შესული მოწყობილობებით კი კლასით უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ავტომობილებიც იამაყებდნენ: სანავიგაციო სისტემა, კლიმატკონტროლი, სავარძლების ელექტრორეგულირება და სხვა. დიდა არჩევანი ძრავების მზრიაც. ასე რომ, ფრთხილად კონკურენტები!

"ფოლკსვაგენისავე" პავილიონში თავს იწონებდა კონცერნის კონცეპტუალური სპორტული როდსტერი "კონცეპტ R", რომელიც ერთთავად "პორშე ბოქსტერს" მიგავაიონებს და როგორც ამბობენ, აუცილებლად მიადნებს კონკურენტებს. ფრანკფურტშივე "ფოლკსვაგენმა" და "დაიმლერკრისლერმა" გააკეთეს ერთობლივი განცხადება იმის შესახებ, რომ ეს ორი გიგანტი მალე დაიწყებს თანამშრომლობას. კერძოდ, ვოლფსბურგელები 2005 წლიდან 2013 წლამდე, ყოველწლიურად 140 ათას ორიგინალ დიზელის ძრავს მიაწოდებენ შტუტგარტულ კონცერნს. ამ ძრავების მომხმარებლები იქნებიან "კრაისლერისა" და "მერსედის" მარკის ავტომობილები.



მერსედეს SLR მაკლარენი

შრედერიც (სანამ კანცლერი გახდებოდა, შრედერი "აუდის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო), რომელსაც შედითის პრემიერ მინისტრზე განხორციელებული თავდასხმის გამო ჩვეულებრივზე მეტი მცველი ახლდა თან. ბუნებრივია, კანცლერის ყურადღება ყველაზე მეტად გერმანული კომპანიების პროდუქციამ მიიპყრო. ავტოსალონის ვიზიტის შემდეგ კი მან განაცხადა, რომ სახელმწიფო ყველაწარმად დაეხმარება ქვეყნის ავტოკომპანიებს, რომლებიც გერმანიის ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენენ.

მეხუთე თაობის "გოლფი" და "კონცეპტ R" მიუხედავად იმისა, რომ ფრანკფურტში საავტომობილო ინდუსტრიის რიგი შედეგები (ძირითადად კონცეპტუალური) იქნა წარმოდგენილი, IAA-ს უპირველესი ვარსკვლავი მაინც "ფოლკსვაგენი", კერძოდ კი მის ბესტსელერ "გოლფის" მეხუთე თაობის მოდელი იყო. უკვე სამი ათეული წელია,



აუდი ლემან კვატრო

"ციცფერი ოვალის" ახალი პროგრავის შედეგია, რაც ერთი, უნივერსალურ პლატფორმაზე სხვადასხვა მარკის რამდენიმე მოდელის გამოშვებას ითვალისწინებს. ეს მეოთხე პირველი რიგში ახალი ავტომობილების შემქმნისა განეული დანახარჯების შემცირებას ემსახურება.

რაც შეეხება S40-ს, ეს ავტომობილი დიზაინერული თვალსაზრისით არაფრით გამორჩეული არაა "ვოლვოს" დანარჩენი მოდელისგან. ის ერთთავად S60-ის ფორმებს იმეორებს, ოღონდ შემცირებული ზომებში. ეგაა, თანამედროვე ავტომობილის ტენდენციებისგან განსხვავებით, ახალი "ვოლვო" გაბარიტებში ოდნავ შემცირებულია. ამ ავტომობილის წარმოება შეედეგს დაგეგმილი აქვთ თავიანთ ბელაგურ ქარხანაში, რომელიც ქალაქ გენტში მდებარეობს.

ბავარიული ბარაქა ყველაზე მეტი საწარმოო მოდელის დებუტით ფრანკფურტში თავი გამოიჩინა კომპანია "ბემვემ",

რომელმაც თავის მომხმარებელს ოთხი ახალი ავტომობილი შეავება. ესენია სრულიად ახალი მე-6 სერიის კუპე, ასევე სრულიად ახალი უგზობის ავტომობილი X3, მე-5 სერიის ახალი თაობის სედანი და უგზობის მოდიფიცირებული X5.

მოკლედ, ბავარიელებს თავისუფლად შეეძლოთ ცალკე ავტოსალონის ჩატარება, სადაც ასევე შექმნილი შექმნის ბოლო ფაზაში მყოფი პირველი და მეორე სერიის ავტომობილების გამოფენაც.

უკვე 15 წელია, ბავარიელებს შეეჩვეული ჰქონდათ მე-6 სერიის კუპეების წარმოება, მაგრამ კონკურენტების გამოცემათთან ერთად მათი სტრატეგიაც საწარმოო პროგრამის გაფართოებისკენ გადაინახა და შედეგად, ავტოსამყარომ "ბემვემ" იმ კლასებში იხილა, სადაც მანამდე ბავარიელებს არავინ ელოდა.

ახალი მე-6 სერიის კუპეს წარმოებისას ფართოდ გამოიყენება ძარის ალუმინისა და კომპოზიტური მასალებისგან დამზადებული ნაწილები, ხოლო მისი დაკიდების სისტემა მთლიანად ალუმინისაა. ჰოდა, არცთუ მცირე გაბარიტების მქონე ოთხბედიანი სპორტული ავტომობილი საკმაოდ მსუბუქი გამოვიდა.

ფრანკფურტში ნაჩვენები მოდელი 645CI აღჭურვილია 4.4-ლიტრის V8 ძრავით, რომელიც 333 ცხენის ძალას ავითარებს. ამ აგრესიულმა მანქანამ დაინტერესებული იყო მისი ახალი მოდიფიკაციის გამოშვებით.

იღებს, რომლებსაც კარგა ხანია, მყიდველს სთავაზობს. დაბოლოს, X3. უგზობის ეს ავტომობილი უფრო დიდგაბარიტის X5-ის უმცროს მძიმე შეიძლება ჩაითვალოს. ფრანკფურტში წარმოდგენილი ორივე ავტომობილის მთავარი ღირსება ისაა, რომ ისინი ეკონომიური არიან ევროპულ ნორდების X-დრეივ სისტემით. ამ სისტემის მეშვეობით ბოლო ფაზაში მყოფი პირველი და მეორე სერიის ავტომობილების შესაბამისად ნაწილდება.

სისტემა ასევე აწინააღმდეგებს სისხტემის წარმოებას, მაგრამ კონკურენტების წინააღმდეგობის საშუალებით ყველა თვალსაჩინოების შემთხვევაში სრულიად განსხვავებული მარბრები მოეწოდება, რითაც უზრუნველყოფილია უგზობის პირობებში ავტომობილის სასუცხოო მართვადალა.

"სამქიმიანების" სპორტული გატაცება

ბოლო რამდენიმე წელიწადია, "მერსედეს-ბენცი" წარმატებით ასპარეზობს ფრანკფურტის მსოფლიო ჩემპიონატებში, სადაც ინგლისურ "მაკლარენს" ამბარაგებს ძრავებით. და აი, ორივე კომპანია ამ თანამშრომლობის გაგრძელება წარმოებამდე მოინდომა და შედეგად იმაზე მორიგი შედეგები - "SLR მაკლარენი", ავტომობილი, რომელიც მის მფლობელს ფ-1-ის ემოციებს გააცნობს.

ამ ავტომობილის დებუტს საავტომობილო სამყარო დიდი ხანია ელოდა, მაგრამ გარკვეულმა პრობლემებმა მისი წარმოების დაწყება



ვოლვო B40

ფორმულა ერთში გავრცელებული ნახშირბადოვანი კომპოზიტებისგანა შექმნილი კუპეს მზიდი ელემენტი, რითაც უზრუნველყოფილია მისი სისხტე და მაღალი ენერგომშთანაქმელობა.

გარდა ამისა, ავტომობილს განაწილი ღირსება ისაა, რომ ისინი ეკონომიური არიან ევროპულ ნორდების X-დრეივ სისტემით. ამ სისტემის მეშვეობით ბოლო ფაზაში მყოფი პირველი და მეორე სერიის ავტომობილების შესაბამისად ნაწილდება.

ფრანკფურტის ავტოსალონის დამთავლებების წინაშე წარმოადგინეს კონცეპტუალური მოდელი "ვიფნ CLS", რომელიც კუპესა და სედანის ერთგვარი ნახაზია. მხახველს ეს დახვეწილი გარეგნობის მქონე "მერსი" დაიმლერკრისლერის" მმართველობის საბჭოს წევრმა, დოქტორმა იორგენ ჰუბერტმა სწორედ ოთხკარიან კუპედ ნარდგინა: "ოთხკარიანი კუპეს იდეა მიმდევდელ პერსპექტივას გვიქმნის. მასში ლამაზი დიზაინი და ინტერიერის ექსკლუზიური გადწყვეტა შესაძლებელია, რითაც "ვიფნ CLS" იმ ავტომოყვარულთა გემოვნებს შეესაბამება, რომლებმაც იციან სპორტული ავტომობილების და ძლიერი ძრავების ფასი".

"დაიმლერკრისლერის" სტენდზევე, "კრაისლერის" განყოფილებაში წარმოდგენილი იყო კორპორაციის ამერიკული განყოფილების ახალი ნაშუაგარი - "კონცეპტუალური უნივერსალი 300C ტურინგი", რომლის გარეგნობაშიც შეინიშნება კონცეპტუალური "დოჯ მანჯუმის"

ავრესიული გარეგნობა აქვს, რასაც ხაზს უსვამს ჰაერის ამტები უზარმაზარი ლაყურები.

სხვათა შორის, ეს "ლაყურები" მხოლოდ დეკორის როლს როდი ასრულებს - მათი საშუალებით ხერხდება 5-ლიტრიანი V10 მონსტრის გაგრილება. ეს მონსტრი 610 ცხენის ძალას იძლევა და მისი უზარმაზარი (750 ნ/მ) მარბრები მომენტი 6-საფეხურიანი სექვენციალურ გადაცემათა კოლოფის და ტრანსმისიის საშუალებით ოთხზე ნამეფავ თვალს მიუწოდება.

ამ ავრეგატების წყალობით "აუდი ლე მან კვატრო" ადგილდას კოლომეტრამდე აჩქარებას სულ რაღაც 3.7 წამს ანდობებს, 200 კმ/სთ სიჩქარემდე კი ოდენ 10.8 წამში მყოფნის. მწარმოებელი არ ააჩქარებებს თავისი შედეგის მაქსიმალურ სიჩქარეს, თუმცა ძნელი არაა იმის მიხედვით, რომ ამ მხეცისთვის 350 კმ/სთ მთუნვდომელი ზღვარი სულადა არაა.

ბოლოს იმასაც დაეძენით, რომ "ლე მან კვატრო" შექმნილია "ლამბორგინი გაიარდოს" პლატფორმაზე და მისგანვე აქვს ნასესხები (ოღონდ, მოდიფიცირებული სახით) ზოგიერთი აგრეგატი. თავიდან გავრცელდა ხმები, თითქოს "აუდი" ამირებდა "ლე მან კვატროს" მცირე სერიულად წარმოებას, მაგრამ კომპანია ფრანკფურტში გამოაცხადა, რომ ეს საკითხი ჯერაც არაა გადაწყვეტილი. თუმცა, თუ ბაზარზე მაინც მიადნებს, "აუდი ლე მან კვატრო" "ლამბორგინი გაიარდოზე" ოდნავ იაფი იქნება, რათა თავი



მერსედეს კლას CLS

შტრინები. 300C იმის ნიშანია, რომ "კრაისლერი" საოჯახო უნივერსალების წარმოებას უბრუნდება.

სი იტალიელი ნათესავისგან ნაკლები კონკურენცია იგრძნოს.

"გაიარდო" "აუდის" ფორმანი

ფრანკფურტში ხელცარიელი არც "აუდი" ჩასულა. ხელცარიელი კი არა, "ოთხმა რგოლმა" ავტომოყვარულთა სამჯავარზე გამოტანა თავისი ახალი სუპერავტომობილი, რომელსაც "ლე მან კვატრო" უწოდა, რითაც მიანიშნა, რომ ამ მანქანაში უფად იქნება გამოყენებული ლე მანის 24-საათიან რბოლებში დაგროვილი გამოცდილება, რაც ავტოსპორტში ამ ურთულესი რბოლის ზედიზედ სამჯერ მოგებას გულისხმობს.

ეს ავტომობილი პირველი მხახვიან უკონცეპტუალურ მოდელად სულ რაღაც 11 თვეში მოვეცდებით. მასში შეინიშნება აუდის ავტორინდელ კონცეპტუალურ სპორტულ მოდელ RSR-თან და "ნუვო-ლარისთან" მსგავსება. თუმცა, მისგან განსხვავებით, "ლე მან კვატროს" უფრო დახვეწილი და

ჯეტქარი

გამოფენის ერთ-ერთი უჩვეულო ექსპონატი იყო ავტომობილი "ჯეტქარი", რომელიც ავტომობილ გერმანელმა ძმებმა, ქრისტინან და მიხაელ ვენგერებმა.

"ჯეტქარის" დიზაინი რაღაცით "ფოლკსვაგენის" ექსპერიმენტულურ, ევრეთ ნოდებულ ერთმოცულობიან კონცეპტუალურ მოდელს მოგავანებს, რომლითაც ვოლფსბურგელებმა ეკონომიურობის რამდენიმე რეკორდი მოხსნეს. ავტომობილი გამოყენებულია 600 კუბ.სმ. მუშა მოცულობის მქონე აგრეგატი, რომელიც, ისევე როგორც ნახევრად ავტომატური გადაცემათა კოლოფი, "სმარტისგანაა" ნასესხები. ყოველივეს საშუალებით "ჯეტქარის" მაქსიმალური სიჩქარე 160 კმ/სთ-ს აღწევს, ხარჯი კი ოდენ ერთი გალონია ას კილომეტრზე.



მაზდა 3



ბემვეს მე-6 სერიის კუპე და X3



ჯეტქარი

ციხიდან პირდაპირ საავადმყოფოში



კორტნი ლავი ჩვეულ პოზაში.

სკანდალური ყოფაქცევით ცნობილია მომღერალმა კორტნი ლავემ ერთხელ მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. ის ამჯერად საავადმყოფოში და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილებებისგან იკურნება. საავადმყოფოში მოხვედრამდე ამერიკელი მომღერალი ვილშირში დებოშის ატეხვისთვის დააკავეს. აღნიშნულ საგრაფოში კორტნი ლავი მეგობრის სახლში შესვლას ლაშობდა, რისთვისაც მან ფანჯრები ჩაამსხვრია. დებოშზე გამოძახებული პოლიციელები ეჭვობდნენ, რომ მომღერალი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო და საქმეც აღძრეს. თუმცა, ლავი მალევე გაათავისუფლეს. ამის შემდეგ არ გასულა ერთი საათი, რომ მუსიკოსი თავად დაუკავშირდა პოლიციელებსა და სანიტრებს. როგორც აღმოჩნდა, კობეინის ქვრივს ნარკოტიკები ჭარბი რაოდენობით ჰქონდა მიღებული. ამჯერად მუსიკოსი საავადმყოფოში წაიყვანეს სამკურნალოდ. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის კორტნი ლავის პირველი სკანდალი წელს. თებერვალში ბრიტანულმა პოლიციამ ამერიკელი მუსიკოსი ლონდონის აეროპორტში წესრიგის დარღვევისთვის დააკავა. მაშინ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ამერიკელ მუსიკოსს ყველა ბრალდება მოუხსნეს. განსაკუთრებული შედეგია, ალბათ, არც კორტნი ლავის ეს უკანასკნელი სკანდალი დასრულდება.

"შრაკის" შემქმნელი ბარდაიცვალა

ცნობილი ამერიკელი მხატვარი უილიამ სტივი რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა ბოსტონში 95 წლის ასაკში. მას უამრავი ნახატი ჰქონდა შექმნილი ჟურნალისათვის The New Yorker, იყო არაერთი საბავშვო წიგნის ილუსტრატორი, ავტორი ბევრი ზღაპრული პერსონაჟისა, ცნობილი შრეკის ჩათვლით. სტივი ბრუკლინში დაიბადა 1907 წლის 14 ნოემბერს პოლონელი ებრაელების ოჯახში. მისი პირველი ნახატი ჟურნალში The New Yorker 1930 წელს დაიბეჭდა, სადაც გამოსახული იყო პატიმარი, რომელიც მეორე პატიმარს შესწივს: " ჩემი შვილი გამოუსწორებელია, ვერაფერი მოუხერხებო". მიუხედავად იმისა რომ The New Yorker-ში სტივი თავიდან დაიწყო, პირველ ნახატს მოჰყვა კიდევ 1600 ილუსტრაცია და კარიკატურა. უილიამ სტივი ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ცნობილი ილუსტრატორი იყო. მისი ყველაზე პოპულარული ნამუშევარი გახლავთ წიგნი "შრეკე", რომელიც 1990 წელს გამოიცა, 2001 წელს კი ამ წიგნის მიხედვით გადაღებულმა ყველა სატელევიზიო კარგად ცნობილმა და საყვარელმა ანიმაციურმა ფილმმა ოსკარი მიიღო. სტივიმ თავისი ბოლო წიგნი 2003 წლის ივნისში გამოსცა.



დაობლებული შრეკი.

ბერბანია საუკუნის ჰიტს ირჩევს

პოპ-მუსიკა
Waterloo („აბაბა“)
"საპაერი ბუმბები" (ნენა)
Time To Say Goodbye (სერა პრეტმენი და ანდრეა ბონელი)
Rivers of Babylon (Boney M)
My Way (ფრენკ სინატრა)

პირველი ხუთი ადგილი შემდეგმა სიმღერებმა დაიკავეს:
La Paloma - 10,9 პროცენტი
Yesterday - 9,5 პროცენტი
Rivers of Babylon - 9,3 პროცენტი
Time To Say Goodbye - 8,0 პროცენტი
Lili Marlen - 7,7 პროცენტი

როკ-მუსიკა
Get No (Satisfaction) („როლინგსტონ-უნი“)
Wind Of Changes („სკოტსპინი“)
Yesterday („ბილზი“)
Love Me Tender (ელვის პრესლი)
All You Need is Love („ბილზი“)



ლეგენდარული "აბაბა"

შვილები ინგა, გურამ ქობულაძეები, შვილიშვილები ლევან უმიკაშვილი, ინგა ქობულაძე, სიძე ირაკლი დლოძე, შვილიშვილი ნინო დლოძე მწუხარებით იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა **ველი რიზას ასული პარპანიკა-ქობულაძე**
პანაშვილები: 7, 8 ოქტომბერი, 14 სთ.
გამოსვენება: 9 ოქტომბერი, 14 სთ.
დაკრძალვა სოფელ კუმისში.
მისამართი: ფანასკერტელის მე-16 კორპუსი, ბინა 17.

ნამალი "სალხინო"

ქართული ფლორის სამცხე

თუ განუხებთ პროსტატიტს, ცისტაიტს, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებს; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსადენი ხერხეის ზაგეთა მიწებება, სუნი ან გამოწვინება; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესწებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნალღის ბუმბის (ქოლეცისტიტი), პეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაუმჯობესებთ ჰაერის ცეკვას საკუთარი რძით.

ნამალი "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მონონებულა საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
ნამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.